ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N25

2023 წლის **28** აპრილი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის პლაჟების) 2023 წლის საკურორტო სეზონისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 აპრილის N114-1142311034 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით განკარგოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (2023 წლის 01 ოქტომბრამდე) დროებითი ტიპის კაფე-ბარების (მათ შორის ბუნგალოების), სავაჭრო, გასართობი ობიექტების და ზღვისპირა სანაპირო ზოლში (პლაჟი) შეზლონგებისა და ზომამცირე მცურავი საშუალებების (კატარღა, მოტონავი, ჰიდროციკლი, წყლის ველოსიპედი, კატამარანი, ნავი და სხვა მცურავი საშუალებები) განთავსების მიზნით, გარდა მეგობრობის ქუჩის მიმდებარედ (ახალი ბულვარი- მდინარე აჭყვას შესართავიდან მდინარე კინტრიშის შესართავამდე);

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N18 განკარგულება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის პლაჟების) 2022 წლის საკურორტო სეზონისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ";

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი